ხაშურის მოამბე

№19(343) 30 მაისი, ორშაბათი, 2022 წელი

პრემიერ - მინისტრი - ხაშურში

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სახელმწიფო პროგრამა „განახლებული რეგიონების“ ფარგლებში ხაშურში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

სამუშაოები მოიცავს ცენტრალური მოედნისა და მიმდებარე

ტერიტორიის მოწყობას, 3 შენობას და 2 სკვერს, მიმდინარეობს გიორგი საკაძის და მერაბ კოსტავას ქუჩებზე არსებული შენობების ფასადების განახლება, აგრეთვე ცენტრალური მოედნისა და დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერის რეაბილიტაცია, სადაც პრემიერი ადგილობრივ მცხოვრებლებს გაესაუბრა.

როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ მთავრობის მეთაურს განუმარტა, პროექტისთვის 4.5 მლნ ლარია გამოყოფილი და ასევე გრანტის სახით მუნიციპალური განვითარების ფონდი მუნიციპალიტეტს 567 ათას ლარამდე გადასცემს.

მთავრობის მეთაურთან ერთად აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები იმყოფებოდნენ. ამის შემდეგ, პრემიერმა, ხაშურის ახლადაშენებული, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ახალი საფეხბურთო სტადიონი დაათვალიერა.

მთავრობის მეთაურს განხორციელებული სამუშაოების შესახებ ინფორმაცია რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ გააცნო.

მისი თქმით, სტადიონის სამშენებლო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდმა განახორციელა. მშენებლობა, მსოფლიო ბანკის 6.4 მილიონი ლარის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა.

პროექტის ფარგლებში ტერიტორიაზე მოეწყო ხელოვნურსაფარიანი საფეხბურთო მოედანი, დამონტაჟდა განათება და სტადიონის სათანადო მდგომარეობაში შესანახად აუცილებელი სარწყავი სისტემა. სტადიონის ტერიტორიაზე აშენდა 2100 გულშემატკივარზე გათვლილი ტრიბუნები, ღია ავტოსადგომი და დამხმარე შენობა-ნაგებობები. მოწესრიგდა სტადიონის მიმდებარე ქუჩის საგზაო ინფრასტრუქტურა.

ხაშურიდან პრემიერმა და მისმა თანმხლებლმა პირებმა ქვიშხეთში გადაინაცვლეს, სადაც მათ დიმიტრი ყიფიანის განახლებული სახლ-მუზეუმი დაათვალიერეს.

მთავრობის მეთაურს მუზეუმის გიდმა კლარა გელაშვილმა უმასპინძლა და მუზეუმის ისტორიისა და ექსპონატების შესახებ ინფორმაცია მიაწოდა. მისი თქმით, მუზეუმში დაცულია დიმიტრი ყიფიანთან დაკავშირებული 900–მდე ექსპონატი, დოკუმენტი და ფოტომასალა.

როგორც კლარა გელაშვილმა აღნიშნა, კულტურის სამინისტროს ძალისხმევით, მომზადდა ნაგებობის სარეაბილიტაციო პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა მუზეუმის განახლებას თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად და ძირითადი შენობის სრულ რეაბილიტაციას.

როგორც მუზეუმის დირექტორმა, რევაზ ნოზაძემ განაცხადა, მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტი უშუალოდ პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმოწერით განხორციელდა.

როგორც პრემიერმა აღნიშნა, მთავრობა ყოველთვის მხარს უჭერდა და მომავალშიც გააგრძელებს მსგავსი პროექტების დაფინანსებას.

მუზეუმის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჯამური ღირებულება 848 271 ლარს შეადგენს. თანხები რეგიონებში განსახორციელებელი

პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო.

პრემიერთან ერთად ადგილზე იმყოფებოდნენ აღმასრულებელი, საკანონმდებლო და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები.

- სიახლე -

ხაშურში, რუსთაველის ქუჩაზე, მოძრაობა ცალმხრივი ხდება

გადატვირთული ქალაქის ქუჩები, ქვყნის მასშტაბით, უკვე დიდ დისკომფორტს უქმნის მოქალაქეებს,მით უმეტეს,ისეთ ქალაქს,როგორიც ხაშურია. მანქანების გაზრდილი რაოდენობა და ინტენსიური მოძრაობა, სხვადასხვა პრობლემას ქმნის- იზრდება ავტოსაგზაო შემთხვევების რიცხვი, გაძნელებულია მანქანების პარკირება და მოსახლეობის გადაადგილება. ხაშურის მერიის მუნიციპალიტეტის წინაშე დადგა საკითხი, ამ პრობლემის გადაჭრის. რომლის ერთადერთ გზას, ქუჩების გაცალმხრივება წარმოადგენს. პროექტი უკვე შედგენილია და მალე დაიწყება პროცესი, რომელიც ამ პრობლემას მოხსნის. თუ რომელ ქუჩებს შეეხება გაცალმხრივება, როგორი მოლოდინებია პროექტის დასრულების შემდეგ, ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი გიორგი პაპიაშვილი ისაუბრებს:

- რა ტიპის დისკომფორტი შექმნა ქალაქში საავტომობილო ნაკადის ზრდამ და რატომ დადგა საკითხი ქუჩების გაცალმხრივების?

- რუსთაველის ქუჩა ერთ-ერთი ყველაზე დატვირთული მონაკვეთია, დღის განმავლობაში უწყვეტია მანქანების ინტენსიური გადაადგილება, რაც იწვევს საცობებს და ხალხის უკმაყოფილებას. ქუჩაზე განთავსებულია არაერთი სავაჭრო ობიექტი, საავადმყოფო, აფთიაქი, ორი სკოლა და გახშირებული მოძრაობა საფრთხის შემცველია ქვეითად მოსიარულეთათვის, მათ შორის სკოლის მოსწავლეებისთვის. ბოლო პერიოდში გახშირდა ავარიული შემთხვევებიც. სწორედ ამ გარემოებებმა დააყენა აღნიშნული ქუჩის გაცალმხრივება დღის წესრიგში.

- რომელ ქუჩებს შეეხება გაცალმხრივება?

- სრული გაცალმხრივება შეეხება მხოლოდ რუსთაველის ქუჩას, რაც შეეხება საკაძის, ლომოურის და 26 მაისის ქუჩებს, ისინი ნაწილობრივ გაცალმხრივდებიან. რუსთაველის ქუჩის შუა წელიდან სატრანსპორტო ნაკადი ცალმხრივად შევა ლომოურის ქუჩაზე 180 მეტრ მანძილზე. შემდგომ მონაკვეთზე ლომოურის ქუჩა დარჩება ორმხრივი. გაცალმხრივდება 26 მაისის ქუჩის ბოლო 150 მეტრიანი მონაკვეთი ყაზბეგის ქუჩის კვეთიდან რუსთაველის ქუჩის მიმართულებით. ფარნავაზის ქუჩაზე უსაფრთხო მოძრაობისთვის დაპროექტებულია ორი 3 მეტრიანი სიგანის სავალი ზოლი. იმოქმედებს სიჩქარის შეზღუდვა 50კმ/სთ-მდე. დამონტაჟდება ერთი გზის ხელოვნური უსწორმასწორობა შესაბამისი შემზღუდავი ნიშნებით. აღმაშენებლის ქუჩაზე დაპროექტებულია ორი 3,25 და 3.5 მ სიგანის სავალი ზოლი. იმოქმედებს სიჩქარის შეზღუდვა 50კმ/სთ-მდე. დამონტაჟდება 2 გზის ხელოვნური უსწორმასწორობა შესაბამისი შემზღუდავი ნიშნებით.

- გაცალმხრივებასთან ერთად, იცვლება შუქნიშნების მუშაობის სპეციფიკაც, ამასთან დაკავშირებით რომ გვითხრათ?

- სტრუქტურულად შეიცვლება შუქნიშნები რუსთაველის ქუჩაზე, ვინაიდან ცალმხრივი იქნება. დაემატება ახალი წამზომიანი შუქნიშანი ტაბიძის ქუჩაზე №1 საჯარო სკოლასთან. ამასთანავე, მომავალი წლისთვის, ვფიქრობთ, წამზომიანი შუქნიშნები დაემატოს და პროექტი მზად გვაქვს რუსთაველის ქუჩაზე №3 და №2 საჯარო სკოლებთან. ასევე, თუ მანქანების ინტენსივობა მოიმატებს საკაძე-აღმაშენებლის ქუჩის კვეთაზე, იქაც მოხდება შუქნიშნის დამატება. გარდა ამის,ამავე ტერიტორიაზე დამონტაჟდება 2 ერთეული გზის ხელოვნური უსწორმასწორობა შესაბამისი შემზღუდავი ნიშნებით.



- რამდენად მნიშვნელოვანია ამ პროექტის განხორციელება და თქვენი აზრით, რამდენად მოგვარდება პრობლემა?

- თავდაპირველად, შესაძლოა მძღოლებში მცირე გაურკვევლობა გამოიწვიოს მოცემულმა ცვლილებებმა, მაგრამ სრულად დარწმუნებულები ვართ, რომ მოძრაობის ახალი წესი, განმუხტავს და უსაფრთხოს გახდის გადაადგილებას, რაც დიდი კომფორტი იქნება, როგორც ადგილობრივი მოსახლეობისთვის, ისე ქალაქში შემომსვლელთათვის.

- თქვენი აზრით, აღნიშნული პროექტის განხორციელების შემდეგ, გაიზრდება თუ არა სხვა ქუჩების სავაჭრო-ეკონომიკური ფუნქცია?

- დარწმუნებულები ვართ, რომ აღნიშნული ცვლილებით ურბანულად მოხდება სხვა ქუჩების დატვირთვა სავაჭრო-ეკონომიკური კუთხით, რაც ცალსახად მნიშვნელოვანია ქალაქისთვის და მოსახლეობისთის.

თ. ჯავახიშვილი

შეიქმნა ფონდი, რომელმაც ხაშურის „ივერიის“ წარმატება უნდა უზრუნველყოს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის, თენგიზ ჩიტიაშვილის ინიციატივით, ადგილობრივი ბიზნესის მხარდაჭერით და სპორტსმენთა ჩართულობით ხაშურის საფეხბურთო კლუბ „ივერიის“ განვითარების ფონდი შეიქმნა.

ფონდის მხარდამჭერებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი, მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე ლევან გამრეკელი შეხვდნენ.

„მადლობას გიხდით ფონდის მხარდაჭერისთვის. ჩვენი მუნიციპალიტეტის წინსვლა თითოეული ჩვენგანის საქმეა და მნიშვნელოვანია, ეს გავითავისოთ. ქალაქს უკვე აქვს მაღალი სტანდარტის სტადიონი. იმედი მაქვს, ხაშურის „ივერია“ ახალ სტადიონზე არაერთ წარმატებას მიაღწევს, სატურნირო მდგომარეობას მკვეთრად გაიუმჯობესებს და გულშემატკივარს გაახარებს,“ - აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

ხაშურის „ივერია“, როგორც რეგიონულ ლიგაში მოასპარეზე გუნდი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისგან წლიურად 50 000 ლარის დაფინანსებას იღებს, რაც გუნდის განვითარებისთვის არასაკმარისია.

ახლადშექმნილი ფონდი მნიშვნელოვნად დაეხმარება კლუბს პრობლემების გადაწყვეტასა და განვითარებაში

„ივერიის“ განვითარების ფონდში შემოწირულობის შეტანა ყველა მსურველს შეუძლია. შემოწირულობის გამჭვირვალობა უზრუნველყოფილი იქნება.

ფონდის საბანკო რეკვიზიტებია: სს „საქართველოს ბანკი“
ბანკის კოდი: 22
მიმღების ანგარიში: 86 0000000534656181

ტურიზმის განვითარებაში ჩვენს მუნიციპალიტეტსაც შეაქვს წვლილი

ქალაქ ბათუმში ტურიზმისა და სასტუმრო აღჭურვილობის რიგით მე-13 ფესტივალი „Expo Batumi Travel 2022“ გაიმართა, რომელშიც საქართველოს სხვადასხვა მუნიციპალიტეტები, ტურიზმის სფეროში მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ფესტივალზე მიწვეულები იყვნენ, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების,კულტურის,სპორტსა და ა(ა)იპ კულტურის ცენტრების გაერთიანების წარმომადგენლები.

გამოფენაზე ხაშურის მუნიციპალიტეტი წარმოადგინეს ვეფხვია სამხარაძემ ხელნაკეთი ნივთებით და ბონდო ჩადუნელმა ჯაჭვის პერანგებით და ქართული საბრძოლო იარაღებით.

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო „სურამის პურ-ნაზუქები.“

გარდა ამისა, ტურიზმის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, დარიგდა „კურორტი მწერლებისა“ და „რესტორან კევრის“ საინფორმაციო ბუკლეტები.

ხაშურის მუნიციპალიტეტს საერთაშორისო გამოფენაში აქტიური მონაწილეობისათვის სერთიფიკატი გადაეცა.

მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ 2021 წელს გაწეული მუშაობის ანგარიში

ზედამხედველობის სამსახური ფუნქციონირებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის, საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის,საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის კოდექსის, საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსის, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 4 დეკემბრის, „პირველადი სტრუქტურული ერთეულის-ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ №44 დადგენილების და სხვა ნორმატიული აქტების საფუძველზე.

2021 წლის 1 იანვრიდან ზედამხედველობის სამსახურის მიერ განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

1. სამშენებლო სამართალდარღვევის ფაქტებზე შედგა 10 მითითება, 26 შემოწმების აქტი და გამოიცა 24 დადგენილება.
2. ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის ფაქტებზე შედგენილია 7 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი და გადაგზავნილია სასამართლოში განსახილველად, აქედან, მოსამართლის გადაწყვეტილებით, ორ სამართალდარღვევაზე შეწყდა საქმისწარმოება, ორმა მიიღო გაფრთხილება, ხოლო სამი დაჯარიმდა კანონით გათვალისწინებული ფულადი სანქციით.
3. ექსპლუატაციაში მიღებული იქნა 68 ობიექტი, აქედან 25 საცხოვრებელი სახლი და 43 კომერციული და დამხმარე ნაგებობა.

ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტები ასევე არიან მუნიციპალიტეტის მიერ შესყიდული სამშენებლო სამუშაოს ინსპექტირების მუდმივმოქმედი ჯგუფის წევრები და ეკონომიკური განვითარების სამსახურთან კოორდინაციაში, აწარმოებენ მიმდინარე სამშენებლო სამუშაოების ინსპექტირებას და შემდგომში მათ მიღება-ჩაბარებას.

2021 წელს მოხდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული 140 ობიექტის ჩაბარება-ჯამური ღირებულებით 14 000 000 ლარამდე.

ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს გაცემული სამშენებლო ნებართვების კონტროლს, კანონმდებლობის საფუძველზე ხდება წარმოდგენილი ეტაპის დასრულების ოქმების შემოწმება.

ასევე, პერიოდულად ხორციელდება ყოველდღიური ინსპექტირება ქალაქისა და მუნიციპალიტეტის სოფლების ტერიტორიაზე, რათა მოხდეს სამართალდარღვევათა დროული პრევენცია და აღმოფხვრა.

ზედამხედველობის სამსახური ასევე ახორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ქვითრების ბეჭდვას, არსებული ბაზის განახლებას და მასში კორექტირების შეტანას.

სამშენებლო სამართალდარღვევებით ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილმა საჯარიმო თანხამ შეადგინა 13400 ლარი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შედეგად სასამართლოს მიერ დაკისრებული იქნა 5500 ლარი, ხოლო დასუფთავების მოსაკრებელმა შეადგინა 140414 ლარი.

შოთა კუჭაიძე,
ზედამხედველობის სამსახურის ხელმძღვანელის
ფუნქციების განმახორციელებელი პირი

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ. .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20, 21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35,40,41,42,43..2022 წ. #1, 2.3,4,5,6, 7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18)

ხაშურის ისტორიისათვის (1693 - 2020 წწ)

რევკომის სხდომაზე შეიქმნა კომისია მ. ცინცაძის, ნ. ქურდაძის და ლ. გოგოლაძის შემადგენლობით რევოლუციის მსხვერპლთა გორათის სასაფლაოზე გადასვენებისთვის.

მართლაც,რამდენიმე დღის შემდეგ,17 აპრილს,ე. ჩადუნელი,ვ. კორკოტაძე,ვ. ჩაფრაძე და ი. აბათაძე გორათზე დაკრძალეს, იქ, სადაც მანამდე, 1919 წლის იანვარში, სომხეთ-საქართველოს ომში დაღუპული ხაშურელი გვარდიელები იყვნენ დაკრძალულები. გაზეთი „კომუნისტი“ ამ მოვლენას პარტიული პოზიციებიდან აფასებდა და წერდა: „ელვის სისწრაფით მიედო ქალაქ ხაშურს მენშევიკების მიერ დახოცილ ამხანაგების დასაფლავების ამბავი. ოთხი წლის განმავლობაში, ქართველ მენშევიკების კლანჭებში გამომწყდეულ ხაშურის ღარიბ გლეხებს და მუშებს ვერც კი წარმოედგინათ ამ დღემდი,თუ ძალა-უფლება გადასული იყო მუშათა და გლეხთა ხელში. მხოლოდ მაშინ, როდესაც ხაშურის მშრომელმა ხალხმა სრულიად თავისუფლად შავ მიწას მიაბარა მენშევიკების მიერ დახოცილი ამხანაგები: ჩადუნელი, კორკოტაძე, ვასიკო ჩაფრაძე და ილიკო აბაიაძე,მხოლოდ მაშინ დარწმუნდა ის,რომ მტარვალთა ტახტი დამსხვრეულია და საქართველო აღსდგა, როგორც საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. ყველას სურდა მიეღო მონაწილეობა ამ დღეში, ერთი კვირით ემზადებოდა ხაშურის მუშები და გლეხობა ამ დღის სასურველად ჩატარებისათვის, 17 აპრილი, რაღაც არაჩვეულებრივ დღედ იყო წარმოდგენილი. ყველა ემზადებოდა განურჩევლად მიმართულებისა, ბევრს გული შესტკიოდა და ამიტომ ღებულობდა მონაწილეობას, ისინი შეადგენდნენ უმრავლესობას. პროცესია შეიკრიბა პარტიულ კომიტეტების ბინასთან. პროცესიას შეუერთდა შეიარაღებული ძალები. ხაშურის და ქვიშხეთის ახალგაზრდობა, პარტიული ამხანაგები და ადგილობრივი მილიცია. პროცესია დაიძრა... მას გზადაგზა უერთდებოდა სოფლიდან ჩამოსული ხალხი. პროცესია შეჩერდა იოსებ ძნელაძის სახლთან, სადაც დასვენებული იყვნენ ამხანაგები. გზადაგზა მუსიკა ასრულებს სამგლოვიარო ჰიმნს. ორო მღეროდა... და აი, პროცესიამ მიაღწია დანიშნულ ადგილამდე. მიტინგს გახსნილად აცხადებს ამხანაგი ლენტო ქურდაძე. პირველ სიტყვას ხაშურის რევკომის სახელით ამბობს ამხანაგი ლავრენტი გოგოლაძე, სამაზრო კომიტეტის სახელით ამხანაგი მოსე ცინცაძე, ხაშურის კომუნისტური ორგანიზაციის სახელით ამხანაგი ნიკო ენუქიძე. ორატორები აღნიშნავდნენ თავგანწირულ ბრძოლას ამხანაგებისას, მათი მსხვერპლის მნიშვნელობას, მათ თავდადებულობას მუშათა კლასის ბედნიერებისათვის. ხალხში აქა-იქ ისმის ხმები: მართალია ჯალათებმა მოგვტაცეს ამხანაგები, მაგრამ ეს მოგვცემს ჩვენ პირიქით ძალას, რომ გაკაჟებულებმა შევებრძოლოთ ხალხის მტრებს. „ზიზღი მენშევიკებს“ - გაისმა ხალხში ხმა. აქედან პროცესია დაიძრა ძმათა სასაფლაოსკენ. ხალხი მწყობრად მიყვება. უკანასკნელ სიტყვას ამბობს ამხანაგი ვანიჩკა ელიაშვილი. ასე ფართო მასის მონაწილეობით დამთავრდა დახვრეტილ ამხანაგების დასაფლავება“

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისთანავე დაიწყო ანტისაბჭოთა პარტიების, სამღვდელოებისა და სხვათა მხრიდან მტრის ხატის მიზანმიმართული შექმნა. თანდათან, ხელისუფლებამ ხელი მიჰყო მათ დევნა-შევიწროებას. იგი დიდ მუშაობას ეწეოდა მოსახლეობის ფართო ფენების რეპრესიებისათვის იდეოლოგიურად შემზადებისათვის.

1921 წლის 21 აპრილს, „გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულ ინფორმაციაში ხაშურში მენშევიკების ირგვლივ შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით ნათქვამია: „ჩვენი ორგანიზაციის (ე.ი. ბოლშევიკების - თ.ლ.) გაძლიერებას აქაური მენშევიკები ძლიერ ეჭვის თვალით უცქერიან, მაგრამ ასეთები ძლიერ ცოტანი არიან და თუ არიან მას მშრომელი მასის უმრავლესობა ზიზღის თვალით შეჰყურებს“.

საზოგადოების ერთი ნაწილი აქტიურად ჩადგა ახალი ხელისუფლების სამსახურში, ნაწილი კი ეჭვის თვალით უყურებდა ქვეყანაში განვითარებულ მოვლენებს. ისინი, ვინც ახალ ხელისუფლებას უთანაგრძნობდნენ, არ ერიდებოდნენ დასმენებს, ხელიდან არ უშვებდნენ შესაძლებლობას, რომ თუნდაც ადგილობრივ მთავრობამდე მიეტანათ საზოგადოების იმ ნაწილის განწყობა, რომლებიც თუნდაც სიტყვით უპირისპირდებოდნენ და უკმაყოფილებას გამოხატავდნენ. არქივებში ასეთი შინაარსის არაერთი დოკუმენტაციაა დაცული. აი ერთ-ერთი:

„ქალაქ ხაშურის რაიონის ადმინისტარციულ განყოფილებას

ვასილ დ.-ს

განცხადება

მე მოვდიოდი ქალაქ თბილისიდგან 28 აპრილს, 1921 წელსა დაჩნის მატარებლით. შევხვდი მატარებელში შემდეგს: ჩემს კუპეში, რომელშიდაც მე ვიჯექი, სხვათაშორის ისხდნენ უცხო პირებიც, რომლებსაც მე ვერ ვიცნობდი. იქ ორმა უცნობებმა დაიწყეს ლაპარაკი სურსათის შესახებ და ლაპარაკობდნენ მენშევიკების ხელში რომ ვიყავით პურით და ტანსაცმლით დაკმაყოფილებულები და ეხლა კი ბალშევიკების ხელში შიმშილით იხოცებიანო. მე გულმა აღარ მომითმინა და მივმართე, შენ, ამხანაგო, სად მსახურობდი მეთქი. მათ მიპასუხეს, გვარდიაშიო. მე მაშინ, რა თქმა უნდა, დავუწყე ლაპარაკი, რომ გვარდიელებს მიტომ აკმაყოფილებდნენ მენშევიკების მთავრობა რომ გვარდია ჰყამდათ ერთათ ერთი დამცველი თავიანთ საზიზღარი მოქმედებისა და გვარდიის საშუალებით ამაღლებდნენ ბურჟუაზიულ წესწყობილებას მეთქი. მე რომ ის გვარდიელები ჩავაჩუმე, ერთ უცნობს, რომელიც უკან კუპეში იჯდა, გულმა აღარ მოუთმინა და წამოიყოჩა ჩემსკენ, რომელმაც დამიწყო ბაასი და მითხრა, თქვენ რომ პირდებოდით მუშებს და გლეხებს თეთრ პურს გაჭმევთო, რატომ არ გამოგიგზავნათ რუსებმაო. ამას ლაპარაკობდა ხალხის საყურადღებოდ, რასაც ეხლა სჭამთ, ისიც მენშევიკების დატოვილია და როცა ეგეც გამოგელევათ, მაშინ ნახამთ რასაც სჭამთო. მე, რა თქმა უნდა, შესაფერისი პასუხი მივეცი. მაშინ კიდევ მითხრა, ეხლა რომ მუშათა და გლეხთა საბჭოები უნდა ამოირჩიოთო და მაშინ ნახამთ თუ ვის ამოირჩემთ და ან ვინ გავა საბჭოებშიო. ამას იმ კილოზე ლაპარაკობდა, რომ მე ეჭვი შემეპარა იმაზედ, რომ ის უნდა იყოს მენშევიკების დატოვებული არგანიზატორი და იმედიც მიტომ აქვს რომ ვითომ თავიანთი მეცადინეობით ჩვენს დამარცხებას ლამობდა. ამ ლაპარაკის დროს, რომლის პრავაკაციამაც ხალხის ყურადღება მიიქცია, ერთმა მოხუცებულმა წამოიძახა აბა შენ აშენებ საქართველოსაო, თქვენისთანა ხალხმა დაგვღუპა მთელი გლეხობაო მე იმასაც შესაფერისი პასუხი მივეცი. ბოლოს, როდესაც დავმშვიდდით მე ვეცადე გამეგო იმ ახალგაზრდას ვინაობა თუ ვინ იყო ის და სიდაური,მე მინდოდა ვაგონშივე დამეპატიმრებინა მაგრამ არ მოხერხდა ვინაიდგან ხალხით ვაგონი გაჭედილი იყო მე მაინც გავიგე ვინაობა მისი, როდესაც ის ჩემი მეტოქე სადგურ გომში გადავიდა. მას გადაჰყვნენ ხუთიც სხვები, რომლებიც მას ემხრობოდნენ იმ ლაპარაკის დროს. მაშინ ვიკითხე და მითხრეს რომ ის იყო სოფელ ახალსოლიდგან მაცხოვრებელი და თითონ კი თბილისში მოსამსახურე და მის მომხრები კი მასთან მიმავლები ყოფილან. სტუმრები იყვნენ თუ იმათი ოჯახის წევრები არ ვიცი. ის მოხუცებული კაცი რომელიც ზევით აგიწერეთ, აღმოჩნდა მამამისი რომლებმაც ასეთი პროვოკაციით მთელი ხალხი აააჯანყა. ვიკითხე გვარი და სახელი თუ რა გვარი იყო ის და მითხრეს ნიკალა გურასპაშვილი არისო.

ის ზემოხსენებული ორი გვარდიელი კი არ ვიცი რომელ სადგურზე გადავიდნენ და არც მათი გვარები ვიცი, ამასაც დაუმატეთ მანამ სადგურ გომში მივიდოდით მათთან იჯდა იმავე ვაგონის კონდუქტორი, რომელსაც მიმართეს ხალხმა სანთლის ანთება რადგანაც დაბნელებული იყო და მან უპასუხა თქვენი საქმე არ არის ავანთეფ თუ არაო. მერე მეც მივმართე და მან მე სულ სხვანაირი პასუხი მომცა, მე შენთან ლაპარაკი არ მსურსო. მე უთხარი ამხანაგო მე კი არ გეკამათები, სანთლის ანთებას გთხომ მეთქი, მაშინ წამოდგა კიდე ბატონი ნიკალა გურასპაშვილი და დაცინვის კილოთი ხალხის საყურადღებოთ მითხრა, კარქი, რადა სულ შენ ლაპარაკოფო. ვიცით, რომ კომუნისტი ხარო და იმის დაცინვით სიტყვა იმათთან ვინც მოდიოდნენ და გურასპაშვილს მხარს უჭერდნენ, დაიწყეს ხარხარი. ბოლოს ისინი გადავიდნენ სადგურ გომში, მე მინდოდა გადავსულიყავი და ისინი რომლებიც ხუთ კაცამდის მიყამდა თავისთან ნიკალა გურასპაშვილს, დამეპატიმრებინა. მაგრამ გადასვლა უხერხულად იყო ჩემთვის, ასეთი იმის პრავაკაცია ყოვლათ დაუშვებელია და ამისათვის გთხომთ მიიღოთ სასწრაფოთ ზომები და დააპატიმროთ ის. და შეუდგინეთ ოქმი ამ ჩემი განცხადების თანახმად და გადააგზავნეთ სადაც ეკუთვნის მას”. (სტილი დაცულია)

ხაშურის სამმართველოს განყოფილების გამგემაც არ დააყოვნა და იმავე განცხადების უკანა გვერდს ხელით სასწრაფოდ მიაწერა ოქმი: „მე ადგილობრივი რემკომის სამმართველოს განყოფილების გამგემ ვიხელმძღვანელე ყოველივე ამ ზემო ნაჩვენები განცხადებით და მივიღე ყოველივე ზომები ნახსენებ ზემო ბრალდებელზე, ნიკალა გურასპაშვილზედ”...(სტილი დაცულია) მიღებული ზომების თანახმად, გურასპაშვილი იპოვეს, დააპატიმრეს და მიუსაჯეს ორი წელი იძულებით სამუშაოს ბანაკში, ამინისტიის გარეშე.

ასე დარჩა ერთადერთი შვილის ორი მოხუცებული მშობელი იმედისა და ნუგეშის გარეშე: „ჩვენი ერთადერთი შვილი და შემნახველი ნიკო ზაქარიას ძე გურასპაშვილი, რომელიც მსახურობდა მიწათმოქმედების კომისარიატში,სარაიონო კომისიის მდივნად, ვკითხულობთ მისი დედ-მამის მიერ რევკომის თავმჯდომარე ამხანაგ მახარაძისადმი მიწერილ თხოვნაში-საქართველოს საგანგებო კომისიის დადგენილებით დასჯილია იძულებითი მუშაობით 2 წლის ვადით. ვინაიდგან ჩვენ მოხუცებულმა, დაობლებულმა და უპატრონოთ დარჩენილმა მშობლებმა ვიცით ნამდვილი საქმის გარემოება,რომ ჩვენი შვილი არაფერშია დამნაშვე. ვფიქრობთ, რომ მისი დასჯა შედეგია გაუგებრობისა და უყურადღებობისა,რადგან ჩეკამ არ გამოიძია გულდადებით საქმე. არ ალაპარაკა დამსწრე მოწმეები და იხელმძღვანელა რა მხოლოთ ხაშურის კომისარის თქმით,ჩვენი შვილი უდანაშაულოთ დასაჯა და ჩვენ ორი მოხუცი მუშა მოამაგე მშრომელი მოხუცი სიბერის დროს, როცა ფიზიკური შრომის უნარს მოკლებულნი ვართ, ულუკმაპუროდ დაგვტოვა, ორი წლით მაცხოვრებელი გამოგვაცალ ხელიდგან და სიკვდილის მეტი აღაფერი არ დაგვრჩენია.

საქმის გარემოება იმაშია, რომ ჩვენი შვილი რკინის გზის ვაგონში მიმავალი რაღაცაზედ წალაპარაკდა დ.-თან, რომელმაც შეურაცხყოფა მიაყენა. ამაზედ გულმოსული დ., როდესაც მისულა თავის რაიონში, შურისძიების სურვილით შესდგომია ჩვენს შვილზედ უსაფუძვლო ოქმის შედგენას და გამოუგონია რაც უფრო და უფრო პასუხის საგებელია ბრალდებულისათვის ისეთი მძიმე საპასუხიმგებლო საგნები ჩუწერია ოქმში, რომლებსაც არ ჰქონდა ადგილი მათი შელაპარაკების დროს. მაგრამ ჩვენი შვილი კი ამ მიზეზით დაიღუპა და მასთან ერთად ჩვენც ვიღუპებით და სიმშილით ვწყდებით. უმორჩილესად გთხოვთ, ამხანაგო საქართველოს რევკომის თავმჯდომარევ და რესპუბლიკის მამავ და პატრონო, მფარველო ყველა მოქალაქისა, თქვენის კაცთმოყვარეობით, ლმობიერებით და ჩაგრულთა შემბრალე გულის მოწყალებით მოგვაქციეთ ჯეროვანი შემწყალებელი ყურადღება, შეიბრალეთ მშრომელნი, ძალ-ღონე გამოცლილნი და უნუგეშოთ დარჩენილი მოხუცებული მშობლები და ჩვენს ერთადერთ მარჩენალს აპატიეთ სასჯელი და დაგივბრუნეთ მშობლების წიაღში...

ზაქარია თევდორეს ძე გურასპაშვილი

ბარბარე იოსების ასული გურასპაშვილი”

როგორც შსს არქივში დაცული მასალებიდან ჩანს, გურასპაშვილი 20-იანი წლების რეპრესიებს ცოცხალი გადაურჩაა, შინ მშვიდობით დაბრუნდა, დაოჯახდა, ქალიშვილიც შეეძინა, თუმცა 1937-1938 წლებში კვლავ დააპატიმრეს...

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველსავე წელს დაიწყო ბრძოლა ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ. ბრძოლას არა მარტო მშვიდობიანი ხასიათი (საპროტესტო აქციები და მანიფესტაციები) ჰქონდა, არამედ შეიარაღებულ გამოსვლებსაც (აჯანყებებს) ჰქონდა ადგილი (სვანეთი, ხევსურეთი, კახეთი და სხვა). ამან გამოიწვია საბჭოთა ხელისუფლების მხრიდან რეპრესიული მანქანის ამუშავება. ამის შედეგი იყო ის, რომ ანტისაბჭოთა პარტიები „იძულებული გახდნენ 1923 წლის დასაწყისიდან თვითლიკვიდაციის რეჟიმზე გადასულიყვნენ. განსაკუთრებული ზეწოლა ეროვნული იდეოლოგიის პარტიებზე ხორციელდებოდა, თუმცა არც მენშევიკური პარტია, რომელიც დამოუკიდებლობის წლებში მმართველ პარტიას წარმოადგენდა, იყო გამონაკლისი. 1923 წლის 10 მაისს, გაზეთ „ამიერკავკასიის რკინიგზელებში“ მენშევიკური პარტიის ხაშურის ორგანიზაციის 29 წევრის ხელმოწერით გამოქვეყნებულ წერილში, ვკითხულობთ:

„გთხოვთ ჩვენი პატივცემული გაზეთის უახლოეს ნომერში გამოაცხადოთ ჩვენი, მენშევიკური პარტიის ყოფილი წევრების გულწრფელი განცხადება:

ჩვენ, ქვემორე ამის ხელის მომწერნი, საქართველოს მენშევიკური პარტიის წევრები, მთელი ქვეყნის მშრომელთა მასების გასაგონათ ვაცხადებთ, რომ მენშევიკურ პარტიამ და მეორე ინტერნაციონალმა უღალატეს რა მუშათა კლასს, ბურჟუაზიასთან ერთად დაიწყეს მუშაობა პროლეტარიატის საწინააღმდეგოთ.

მენშევიკები თავისი ბატონობის დროს სდევნიდნენ საქართველოში მუშათა კლასის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიას და სრულ კონტაქტში და კავშირში იყვნენ მეფის გენერლებთან. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადების შემდეგ ისინი დაუკავშირდნენ როგორც მსოფლიო ბურჟუაზიას, აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ ბანდიტებს: ჩოლოყაშვილს, მათიაშვილს, მანწკავას და სხვებს, რათა მათი დახმარებით ჩამოეგდოთ მუშათა კლასის ინტერესების დამცველი მთავრობა. ამიტომ ჩვენ დღეის რიცხვიდან გამოვდივართ მენშევიკურ პარტიიდან, ვგმობთ მის მიერ წარმოებულ პოლიტიკას და აღვუთქვამთ საბჭოთა ხელისუფლების,– კომუნისტურ პარტიას, რომ დავდგებით მისი წითელი დროშის ქვეშ და არასდროს ჩვენ მუშათა კლასს არ ვუღალატებთ.

ძირს მენშევიკური გახრწნილი პარტია!

გაუმარჯოს ერთად ერთ მშრომელი კლასის ინტერესების დამცველ კომუნისტურ პარტიას!

გაუმარჯოს ერთიან მუშათა ფრონტს მესამე კომინს ხელმძღვანელობით!“

ქვეყანაში თანდათან მყარდებოდა ერთპარტიული მმართველობა.

ამავე პერიოდში, მწვავე ხასიათი მიიღო მართლმადიდებლური ეკლესიის წინააღმდეგ ხელისუფლების მხრიდან დაწყებულმა მიზანმიმართულმა ბრძოლამ. იხურებოდა ეკლესიები, იდევნებოდნენ სასულიერო პირები, მათ მიმართ ხორციელდებოდა მკაცრი რეპრესიები. ბევრი მათგანი იძულებული გახდა გაეხადა მღვდლის სამოსელი.

ფართო ხასიათი მიიღო ეკლესიების სხვადასხვა დანიშნულებისამებრ გამოყენებამ. ხდებოდა მათი გადაკეთება კლუბებად, საწყობებად და სხვა.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- მუნიციპალიტეტის საკრებულო -

სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომა

დღეს, 24 მაისს, საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ სხდომა გამართა, რომელსაც კომისიის თავმჯდომარე თათია ბროლიძე უძღვებოდა.

კომისიამ მოისმინა ა(ა)იპ „ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლისგარეშე სახელოვნებო-საგანმანათლებლო დაწესებულებების სამუსიკო სკოლების გაერთიანების“ დირექტორის ლილი რუხაძის ანგარიში 2021 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ. ქალბატონმა ლილიმ ისაუბრა საგანმანათლებლო პროგრამებზე, სკოლის მოსწავლეთა მიღწევებზე და განსაკუთრებული სიამოვნებით აღნიშნა კულტურის სამინისტროს კონკურსში - „სამუსიკო სასწავლებლებში ინსტრუმენტების განახლება“ - გამარჯვების შესახებ, რომლითაც სკოლის დარბაზისათვის საკონცერტო როიალის შეძენა დაფინანსდა.

კომისიამ აგრეთვე, იმსჯელა და დაეთანხმა, სოფელ ფლევის საჯარო სკოლის პედაგოგთა და სამეურვეო საბჭოს ინიციატივას სკოლისათვის ნიკო ნიკოლაძის სახელის მინიჭების თაობაზე, რომელიც გატანილ იქნება საკრებულოს სხდომაზე.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამოქალაქო (მონაწილეობითი) ბიუჯეტირების პირველი ეტაპი - საპროექტო იდეების მიღება - დასრულებულია

გასული კვირის ბოლოს, მონაწილეობითი ბიუჯეტის საბჭოს მორიგი სხდომა ჩატარდა, რომელსაც ესწრებოდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე ზვიად ქურდაძე და საბჭოს სხვა წევრები.

საბჭომ იმსჯელა მონაწილეობითი ბიუჯეტირების პირველ ეტაპზე წარმოდგენილი განაცხადების შესახებ. განსახილველად შემოსულია 153 საპროექტო იდეა. აქედან 44 იდეა ქვიშხეთიდან, 32 იდეა - სურამიდან, ხოლო ყველაზე მეტი - 77 საპროექტო იდეა ცხრამუხიდან.

საპროექტო იდეები ძირითადად საგზაო, კულტურულ-დასასვენებელი და სპორტული ინფრასტრუქტურის,ასევე წყლის სისტემის მოწესრიგებას ეხება.

საბჭოში წარმოდგენილ ინფრასტრუქტურის განვითარების, ეკონომიკის და საფინანსო სამსახურებს დაევალათ დეტალურად იმუშაონ წარმოდგენილი საპროექტო იდეების წინასწარ გაცხადებულ კრიტერიუმებთან შესაბამისობის საკითხებზე და მოამზადონ არგუმენტირებული დასკვნები.

უახლოეს პერიოდში, არგუმენტირებული დასკვნების მომზადების შემდეგ,საბჭო გამოაცხადებს იდეებს,რომლებიც გადასულია კენჭისყრის ეტაპზე.

კენჭისყრა მიმდინარე წლის 4-5 ივნისს ჩატარდება.

- ეკოლოგია -

იმსჯელეს ესტონელ კოლეგებთან ერთად

ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში, სამუშაო შეხვედრით „იმოქმედე გარემოსთვის ფარგლებში“ let do it world-ის ესტონეთის დელეგაცია და ადგილობრივი წარმომადგენლობა იმყოფებოდა.

სტუმრებს, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი და სხვადასხვა სამსახურის წარმომადგენლები შეხვდნენ. მათ ეკოლოგიური მიმართულებით, მუნიციპალიტეტში ერთობლივად განხორციელებულ და დაგეგმილ პროექტებზე ისაუბრეს.

let do it world-ის ორგანიზაციის პრეზიდენტმა და ექსპერტებმა მუნიციპალიტეტის თანამშრომლებს, ნარჩენების მართვის მიმართულებით, ესტონური გამოცდილება გააცნეს, ასევე იმსჯელეს ეკოლოგიური კუთხით არსებულ პრობლემებზე და ადგილობრივ საჭიროებებზე.

შეხვედრის ბოლოს, მხარეები შეთანხმდნენ, რომ თანამშრომლობა კვლავაც აქტიურად გაგრძელდება, ხაშურის მუნიციპალიტეტში ეკოლოგიური ცნობიერების ამაღლებისა და არსებულ გამოწვევებთან ერთობლივად გამკლავების მიზნით.

ხაშურში, სამუსიკო სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს

სამუშაოების მიმდინარეობა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ხელძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა დაათვალიერეს.

პროექტის ფარგლებში, ტერიტორია მოპირკეთდება ფილებით,მოეწყობა შადრევანი, დამონტაჟდება დასასვენებელი სკამები, მოეწყობა პარკინგი. ტერიტორია გამწვანდება და მოეწყობა კიბე რომელიც სიმბოლურად ფორტეპიანოს კლავიატურას გამოხატავს.

„სამუსიკო სკოლის ეზოს კეთილმოწყობის შედეგად, ჩვენს ქალაქს კიდევ ერთი მოწესრიგებული დასასვენებელი სივრცე შეემატება, რაც არამხოლოდ სამუსიკო სკოლის პედაგოგებისთვის, მოსწავლეებისა და მათი მშობლებისთვისაა მნიშვნელოვანი, არამედ სკოლის მიმდებარე უბნის მოსახლეობისთვის და ზოგადად, ქალაქის იერსახის გაუმჯობესებისთვის“- აღნიშნა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

პროექტი ადგილობრივი ბიუჯეტის მხარდაჭერით ხორციელდება. მისი ღირებულება 317 747 ლარია.

პატივი მიაგეს საქართველოს თავისუფლებისათის მებრძოლთა ხსოვნას

26 მაისს, საქართველოს დამოუკიდებლობის დღესასწაულთან დაკავშირებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა, მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, გვირგვინებით შეამკეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის დაღუპულ გმირთა მემორიალი და საქართველო- სომხეთის 1918-1919 წლების ომში ხაშურის რაიონიდან გარდაცვლილ მებრძოლთა საძმო სასაფლაო.

ხაშურის სამუზეუმო გაერთიანების მმართველმა თამაზ ლაცაბიძემ ის ისტორიული მოვლენები გაიხსენა, რაც საქართველოს დამოუკიდებლობის ბრძოლას მუდმივად თან ახლდა სხვადასხვა ეპოქაში.

მუნიციპალიტეტის მერმა, საკრებულოს თავმჯდომარემ და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა გვირგვინით შეამკეს სოფელ ამვისში დავით ნიკოლოზის ძე კაპანაძის საფლავი, რომელზე გამოსახული ცნობილი წარწერა: „მონობაში ტანჯულო დაუვიწყარო მამავ, შენი ნატვრა აღსრულდა. საქართველო განთავისუფლდა“, რომელიც ქართველი ხალხის თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისკენ სწრაფვის ერთ-ერთ სიმბოლოდ იქცა.

ხაშურში, 26 მაისის აღსანიშნავად, ქალაქის ქუჩებში, კოსტუმირებული მსვლელობა მოეწყო

ადგილობრივი შემსრულებლების მონაწილეობით გაიმართა საზეიმო კონცერტი.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა მოსახლეობას მიულოცეს საქართველოს დამოუკიდებლობის დღე და წარმატებულ მწვრთნელებსა და სპორტსმენებს ფულადი ჯილდოები და სხვადასხვა პრიზები გადასცეს.

ღონისძიების მსვლელობისას, 1918 წლის საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დროს, სიმბოლურად, ზუსტად 17 სთ 10 წთ- ზე, ოპერის მომღერალმა ლევან ტაბატაძემ საქართველოს სახელმწიფო ჰიმნი შეასრულა, ხოლო სამუსიკო სკოლის სავიოლინო კლასის მოსწავლეებმა შეასრულეს ევროპის ჰიმნი.

პარალელურად, დიმიტრი ყიფიანის სახელობის სკვერში იმართებოდა გამოფენა და სხვადასხვა სახის აქტივობები.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.